

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ს ხ დ ო მ ა

2018 წლის 30 ივლისი, 11:00 საათი

დღის წესრიგი

1. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი და გადაწყვეტილების პროექტი - „სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის ბიუჯეტის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

- წერილით სსიპ-ი ითხოვს თანხმობას ცვლილების განხორციელებაზე საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საერთო სასამართლოებისათვის და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის გამოყოფილი ასიგნებების კვარტალურ განწერაში.

მომხსენებელი

➤ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავა

2. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი

- წერილი შეეხება 2018 წლის განმავლობაში საერთო სასამართლოებში სარემონტო ობიექტების შეთანხმებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის.

მომხსენებელი

➤ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავა

3. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი და გადაწყვეტილების პროექტი - „სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“

- გადაწყვეტილების პროექტის საფუძველზე არქივში არსებული არქივარიუსის თანამდებობა გარდაიქმნება ინფორმაციზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობად.

მომხსენებელი

➤ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავა

4. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი

- წერილით წარმოდგენილია ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის მშენებლობის მიმდინარეობის თაობაზე.

მომხსენებელი

➤ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავა

5. გადაწყვეტილების პროექტი - „საერთო სასამართლოების ზოგიერთი მოსამართლისათვის დანამატის განსაზღვრის შესახებ“

- გადაწყვეტილების პროექტი ითვალისწინებს მიუღებელი დანამატის გაცემას 2 მოსამართლისათვის, რომლებიც იმყოფებოდნენ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებაში.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

6. გადაწყვეტილების პროექტი - „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/89 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

- ცვლილება ითვალისწინებს დანამატის გაცემის შესაძლებლობას იმ მოსამართლეთათვის, რომლებიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის საფუძველზე ასრულებენ სასამართლოს თავმჯდომარის, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის მოვალეობას.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნაზი ჯანეზაშვილი
--------------	--

7. გადაწყვეტილების პროექტი - „სასამართლო სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიის შესახებ“

- პროექტი ითვალისწინებს 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული 2.4.2.1 აქტივობის განხორციელებას.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი დიმიტრი გვრიტიშვილი
--------------	---

8. გადაწყვეტილების პროექტი - „რ. კახიძის ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“

- მოსამართლე თავისუფლება თანამდებობიდან უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო, 2018 წლის 1 აგვისტოდან.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

9. გადაწყვეტილების პროექტი - „თ. ფარეიშვილის ხაშურის რაიონული სასამართლოს მაგისტრტი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“

- მოსამართლე თავისუფლება თანამდებობიდან 65 წლის ასაკის მიღწევის გამო, 2018 წლის 27 აგვისტოდან.

მომხსენებელი	➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე
--------------	--

10. გორის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დ. პაპუაშვილის წერილი
- მოსამართლე ითხოვს საწვავის გამოყოფას, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე

11. მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის საორგანიზაციო საკითხები

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე

12. იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსის საორგანიზაციო საკითხები

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
გიორგი მიქაუტაძე